საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს

სხდომის ოქმი N 26

ქ.თბილისი **26.11.2014**

სხდომას ესწრებოდნენ:

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წევრები:

მაია მიქაშავიძე - ა(ა)იპ - მართვის აკადემიის დამფუძნებელი პარტნიორი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
ნინო დავლაშერიძე - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტთა უფლებების ლიგის წევრი, საბჭოს მდივანი;
ნათელა სახოკია - ა(ა)იპ - სტრატეგიულ გამოკვლევათა ინსტიტუტის დირექტორი;
თამარ ზარანდია - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი;
ნანა ცერცვაძე - ა(ა)იპ საქართველოს ბიზნესასოციაციის სექტორული განვითარების ხელმძღვანელი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები:

აკრედიტაციის სამმართველოს უფროსი:
გიორგი ცხვედიანი
ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის სპეციალისტები:
ანა ლელაძე,
თამარ აფრასიძე,
გიორგი მელიქაძე,
ნინო გაგელიძე;

აკრედიტაციის ექსპერტები:
მარიამ დარბაიძე,
კახაბერ თავზარაშვილი,
ნატალია ბარათელი,
გოჩა თუთბერიძე,
ნანი არაბული,
ხათუნა საგანელიძე,
ეკატერინე ბაკარაძე,
ელენე კიკალიშვილი;

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენლები:
გიორგი სოსიაშვილი,
ლევან მიდოდაშვილი,
ციური დურული;

შპს წმიდა გრიგოლ ფერაძის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენლები:
რუსუდან ჭუმბურიძე,
ლელა თვარაძე;

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის N65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" 26-ე მუხლის 4 პუნქტის თანახმად, საბჭოს თავმჯდომარის გამოუცხადებლობის გამო, სხდომას წარუძღვა თავმჯდომარის მოადგილე - მაია მიქაშავიძე.

სხდომა დაიწყო 15:25 სთ-ზე. სხდომის თავმჯდომარემ წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი.

1. სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ინფორმაციული ტექნოლოგიების საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ბიოლოგიის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის გეოგრაფიის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მათემატიკის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სპორტის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
6. სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
7. სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ბიზნესის ორგანიზაციისა და მართვის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
8. სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის საბუღალტრო და საგადასახადო საქმის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
9. სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ფინანსების საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
10. სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

11. სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ტურიზმის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
12. სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ბიზნესის ორგანიზაციისა და მართვის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
13. სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის საბუღალტრო და საგადასახადო საქმის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
14. სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ფინანსების სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
15. შპს წმიდა გრიგოლ ფერაძის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
16. შპს წმიდა გრიგოლ ფერაძის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

სხდომის მდივანმა შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის #65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 26-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. საბჭოს მდივანმა საბჭოს წევრებს მიუთითა ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების 28-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმადაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

1. **სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ინფორმაციული ტექნოლოგიების საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;**

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება:	ინფორმაციული ტექნოლოგიების საბაკალავრო პროგრამა
განათლების საფეხური:	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია:	ინფორმატიკის ბაკალავრი
სწავლების ენა:	ქართული
კრედიტების რაოდენობა:	240
კვალიფიკაციის კოდი:	0401

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა ნანი არაბულმა წარადგინა. მან საბჭოს წევრებს ექსპერტების მიერ შემუშავებული რეკომენდაციები გააცნო:

- სასურველი იქნებოდა, გაზრდილიყო სპეციალობის არჩევითი საგნების რაოდენობა, რაც სტუდენტს შესაძლებლობას მისცემდა, მეტი არჩევანი გაეკეთებინათ პროფესიული განვითარების მიზნით;

- სასურველი იქნებოდა, სასწავლო კურსი „Web დაპროგრამება“ გაყოფილიყო ორ ნაწილად და დამატებოდა HTML5 და PHP დაპროგრამების საფუძვლები.

სხდომის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.

დაწესებულების წარმომადგენელმა რეკომენდაციებთან დაკავშირებით განაცხადა, რომ აუცილებლად გაითვალისწინებდნენ ორივე რეკომენდაციას, გაიზრდებოდა არჩევითი საგნების რაოდენობა და მითითებულ სასწავლო კურსსაც გადაანაწილებდნენ ორ სემესტრზე.

საბჭოს წევრი, თამარ ზარანდია, დაინტერესდა, რა ადამიანური რესურსი გააჩნდა დაწესებულებას, შედგებოდა იგი ადგილობრივი აკადემიური პერსონალისაგან თუ იყვნენ მოწვეული სპეციალისტებიც.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ აკადემიური პერსონალი ძირითადად იყო ადგილობრივი, თუმცა რამდენიმე მათგანი ასწავლიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ასევე, ჰყავდათ მოწვეული სპეციალისტები. მან განმარტა, რომ რთული იყო საგნების გამრავალფეროვნება ერთი ან ორი სტუდენტის არსებობის პირობებში, თუმცა დაწესებულება მაქსიმალურად ცდილობდა სტუდენტის ინტერესებისა და უფლებების დაცვას, მოუხედავად ფინანსური დანაკარგებისა.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ ვიზიტის დროს შედგა გასაუბრება სტუდენტებთან, სადაც გაირკვა, რომ სტუდენტები ცდილობდნენ შეკრებილიყვნენ ერთ ჯგუფად და აერჩიათ საერთო საგანი, მაგრამ თუ იარსებებდა განსხვავებული საგნისადმი ინტერესი, იმ სტუდენტის არჩევანიც გათვალისწინებული იყო და მას აუცილებლად ჩაუტარდებოდა არჩეული საგანი.

საბჭოს წევრი, ნათელა სახოკია, დაინტერესდა დასაქმების პერსპექტივით.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ კურსადმთავრებულთა ნაწილი მუშაობდა ,,სილქნეტში“, ,,ენერგო პრო ჯორჯიაში“, ბანკებში - ქსელების ადმინისტრირების კუთხით და ა.შ. მან აღნიშნა, რომ პროგრამა ფუნქციონირებდა 2007 წლიდან.

2. **სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ბიოლოგიის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;**

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება:	ბიოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა
განათლების საფეხური:	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია:	ბიოლოგიის ბაკალავრი
სწავლების ენა:	ქართული
კრედიტების რაოდენობა:	240
კვალიფიკაციის კოდი:	0504

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა და რეკომენდაციები მარიამ დარბაიძემ წარადგინა:

- სასურველი იქნებოდა, სასწავლო კურსები ,,კალკულუსი 1" და ,,კალკულუსი 2" გაერთიანებულიყო ერთ სასწავლო კურსად და აღნიშნული კრედიტების ფარგლებში, სასწავლო ბადეში დამატებოდა სასწავლო კურსი ,,სტატისტიკა";
- სასურველი იქნებოდა, გაზრდილიყო სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსების რაოდენობა.

ექსპერტი მიიჩნევდა, რომ საფაკულტეტო საგნების - ,,კალკულუსი 1" და ,,კალკულუსი 2" ყველა პროგრამაზე ჩასმული იყო ორი კალკულუსი, ხოლო ბიოლოგიის პროგრამისათვის აღნიშნული ორი კურსის გაერთიანება და მის სანაცვლოდ სასწავლო ბადეში სტატისტიკის დამატება მნიშვნელოვანი იქნებოდა. მისი მოსაზრებით, ბიოლოგიის საბაკალვრო პროგრამას ეს მეტად განავითარებდა. ასევე, ექსპერტი მიზანშეწონილად თვლიდა არჩევითი კურსების დამატებას ცოდნის არეალის გასაზრდელად. ექსპერტმა ხაზი გაუსვა ბიოლოგიის მეცნიერების განვითარების მნიშვნელობას, განსაკუთრებით რეგიონებში. მან აღნიშნა, რომ ბიოლოგიის მიმართულება პოპულარობით არ სარგებლობდა, რაც სტუდენტების მცირერიცხოვნობითაც გამოიხატებოდა - ვიზიტის პერიოდში ექსპერტებმა იხილეს თითო-თითო სტუდენტი სხვადასხვა სასწავლო კურსზე.

სხდომის თავმჯდომარე დაინტერესდა სტუდენტების რაოდენობით.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ მიმდინარე წელს მიიღეს 16 სტუდენტი.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტს ჰქონდა მასწავლებლის მომზადების 60-კრედიტიანი პროგრამა, რაც სტუდენტებს აძლევდა საშუალებას, ემუშავათ ბიოლოგიის მასწავლებლებად.

საბჭოს წევრმა, ნათელა სახოკიამ, იკითხა, თუ მოიცავდა ბიოლოგიის პროგრამა კვლევით ნაწილს და რა პერსპექტივა არსებობდა რეგიონში დასაქმების მხრივ, პედაგოგიური მოღვაწეობის გარდა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ კურსდამთავრებულებს დასაქმება დედაქალაქშიც შეეძლებოდათ, საწარმოებშიც. უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური

ბაზა მოიცავდა ლაბორატორიას, ბიოლოგიის კაბინეტსა და ყველა მოწყობილობას, რაც საჭირო იყო ბაკალავრიატის საფეხურზე პროგრამის განვითარებისათვის. თუმცა ძირითადად, კურსამთავრებულები ირჩევდნენ მასწავლებლის პროგრამას და საქმდებოდნენ პედაგოგებად.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მათ მიერ ჩატარებულმა სკოლების კვლევამ საგანგაშო მონაცემები გამოკვეთა, რაც გულისხმობდა პედაგოგების დეფიციტს, ვინაიდან მასწავლებლების დიდი ნაწილი საპენსიო ასაკს იყო მიღწეული და დაახლოებით ხუთი წლის შემდეგ, შიდა ქართლის რეგიონში მოსალოდნელი იყო კვალიფიციური ადამიანური რესურსის სერიოზული დანაკლისი. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ რადგან ბიოლოგიის კურსდამთავრებულთა უმეტეს ნაწილს არ ჰქონდა მასწავლებლის სერტიფიკატი, მათ ჩასვეს მასწავლებლის მომზადების პროგრამა და მეორე წლიდან სტუდენტები პარალელურად ეუფლებოდნენ მასწავლებლის პროფესიას, შემდეგ გადიოდნენ სერტიფიცირებას და წარმატების შემთხვევაში, იღებდნენ შესაბამის კვალიფიკაციას.

3. სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის გეოგრაფიის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

პროგრამის მოკლე აღწერა:	
პროგრამის დასახელება:	გეოგრაფიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა
განათლების საფეხური:	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია:	გეოგრაფიის ბაკალავრი
სწავლების ენა:	ქართული
კრედიტების რაოდენობა:	240
კვალიფიკაციის კოდი:	0505

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა ნატალია ბარათელმა წარმოადგინა. მან საბჭოს წევრებს გააცნო შემუშავებული რეკომენდაციები:

- სასურველი იქნებოდა, სასწავლო კურსები კალკულუსი I და კალკულუსი II გაერთიანებულიყო ერთ სასწავლო კურსად და გამოთავისუფლებული კრედიტების რაოდენობა დამატებოდა ზოგადგეოგრაფიულ საველე პრაქტიკას;
- სასურველი იქნებოდა, დამატებოდა ისეთი არჩევითი სასწავლო კურსი, რომელშიც მოცემული იქნებოდა საქართველოს გეოგრაფიის თავისებურებანი.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ გორის უნივერსიტეტი წარმოადგენდა სტრატეგიულ დანიშნულების მქონე დაწესებულებას შიდა ქართლში. აქ სწავლობდნენ სტუდენტები, რომლებიც საზღვრისპირა სოფლებიდან იყვნენ და მონაწილეობდნენ სოციალურ

პროგრამაში, ამიტომ მნიშვნელოვანი იყო, ასეთი სტუდენტები დასაქმებულიყვნენ რეგიონშივე.

ექსპერტის განცხადებით, შესაძლებელი იყო პროგრამაში მათემატიკური დოზის შემცირება, თუმცა ეს შეიძლებოდა სადავო საკითხი ყოფილიყო, რადგან ტოპოგრაფია და გეოდეზია საკმაოდ სერიოზულ მათემატიკას მოითხოვდა. ექსპერტის რეკომენდაცია იყო 10 კრედიტის ნაცვლად, მათემატიკისთვის 5 კრედიტი მიენიჭებინათ და დარჩენილი კრედიტები დამატებოდა საველე პრაქტიკას.

სხდომის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ აღნიშნულ რეკომენდაციებს გაითვალისწინებდნენ.

საბჭოს წევრი, ნათელა სახოკია, დაინტერესდა, აღნიშნული პროგრამა თუ იძლეოდა მასწავლებლად მუშაობის საშუალებას.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ გეოგრაფიის პროგრამაშიც იყო გათვალისწინებული მასწავლებლის მომზადების პროგრამა, რომელიც სტუდენტს ბაკალავრიატის დასრულების შემდგომ, სერტიფიცირების გზით, ანიჭებდა პედაგოგის კვალიფიკაციას.

4. სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მათემატიკის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

პროგრამის მოკლე აღწერა:	
პროგრამის დასახელება:	მათემატიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა
განათლების საფეხური :	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია:	მათემატიკის ბაკალავრი
სწავლების ენა:	ქართული
კრედიტების რაოდენობა:	240
კვალიფიკაციის კოდი:	0501

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა და რეკომენდაციები კახაბერ თავზარაშვილმა წარადგინა:

- საბაკალავრო პროგრამაში გათვალისწინებული იყო 30 კრედიტის სპეციალობის არჩევითი საგნები, რომლიდანაც სტუდენტს უნდა აერჩია 15 კრედიტი. სასურველი იქნებოდა, გაზრდილიყო სპეციალობის არჩევითი საგნების რაოდენობა, რათა სტუდენტს შესაძლებლობა ჰქონოდა, პროფესიული განვითარების მიზნით, გამოეყენებინა პროგრამით გათვალისწინებული დარჩენილი 70 კრედიტი მათემატიკური საგნების შესასწავლად.

- საბაკალავრო პროგრამა არ ითვალისწინებდა საბაკალავრო ნაშრომის შესრულებას. საბაკალავრო პროგრამის ცაკლეულ საგნებში გათვალისწინებული იყო მცირე მოცულობის საკურსო ნაშრომების შესრულება, რომლის მიზანი გახლდათ ამ კონკრეტული კურსით გათვალისწინებული მასალის ზოგიერთი თემის უფრო სიღრმისეულად შესწავლა. სასურველი იქნებოდა, პროგრამაში თუნდაც არჩევითი საგნის სტატუსით, გათვალისწინებული ყოფილიყო საბაკალავრო ნაშრომის შესრულება, რაც სტუდენტს დაეხმარებოდა უფრო გაეღრმავებინა ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების, დასკვნის გაკეთებისა და პროფესიული კომუნიკაციის უნარ-ჩვევები.

ექსპერტმა პროგრამა დადებითად შეაფასა. მან აღნიშნა, რომ იყო სრულყოფილი და აკმაყოფილებდა ყველა სტანდარტს, თუმცა, მიუხედავად ამისა, ჰყავდა ცოტა სტუდენტი.

სხდომის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მათემატიკის პროგრამაზეც რადენიმე სტუდენტი ირიცხებოდა და ეს პროგრამაც პოტენციურ პედაგოგებს ამზადებდა. მან აღნიშნა, რომ საბაკალავრო ნაშრომთან დაკავშირებულ რეკომენდაციას აუცილებლად გაითვალისწინებდნენ და ასევე იმსჯელებდნენ არჩევითი საგნების გაზრდის საკითხზე.

5. **სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სპორტის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;**

პროგრამის მოკლე აღწერა:	
პროგრამის დასახელება:	სპორტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა
განათლების საფეხური:	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია:	სპორტის ბაკალავრი
სწავლების ენა:	ქართული
კრედიტების რაოდენობა:	240
კვალიფიკაციის კოდი:	1112

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა ხათუნა საგანელიძემ წარმოადგინა. მან საბჭოს წევრებს გააცნო ექსპერტების მიერ შემუშავებული რეკომენდაციები:

- სასურველი იქნებოდა, დამატებით ლიტერატურაში მითითებული ყოფილიყო თანამედროვე ინგლისურენოვანი სახელმძღვანელოები;
- სასურველი იქნებოდა, ტერმინი ,,სამკურნალო ფიზკულტურა" შეცვლილიყო თანამედროვე სახელწოდებით - კინეზოთერაპია.

საბჭოს წევრი, ნათელა სახოკია, დაინტერესდა, რა კვალიფიკაციას ანიჭებდა აღნიშნული პროგრამა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ კურსადამთავრებულები იღებდნენ სპორტის ბაკალავრის კვალიფიკაციას, რომლითაც შეეძლებოდათ მწვრთნელად მუშაობა ან მასწავლებლის მომზადების 60-კრედიტიანი მაინორ პროგრამის გავლის შემთხვევაში, მიეღოთ პედაგოგის სერტიფიკატი. წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ბოლო წლების მანძილზე დიდი მოთხოვნა არსებობდა ამ პროგრამაზე, ვინაიდან გორის სასწავლო უნივერსიტეტი ბევრი ჩემპიონის აღმზრდელს წარმოადგენდა. დაწესებულება აღჭურვილი იყო შესაბამისი ბაზებით - მოედნებით, სპორტული დარბაზებითა და ყველანაირი ხელისშემწყობი გარემოებით, რაც საჭირო იყო სპორტის ბაკალავრის აღსაზრდელად.

საბჭოს წევრი, ნანა ცერცვაძე, დაინტერესდა თუ გაითვალისწინებდა დაწესებულება ექსპერტების მიერ შემუშავებულ რეკომენდაციებს.

სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ აღნიშულ საკითხებს საბჭოზე განიხილავდნენ, ჩამოყალიბდებოდნენ ცვლილებებთან დაკავშირებით და მას შემდეგ, რაც აკადემიური საბჭო დაამტკიცებდა პროექტს, დაიწყებოდა რეკომენდაციების შესრულება, წარმოადგენლის თქმით, დროში გაწერილი პროცედურების გათვალისწინებით, ეს ყველაფერი მეორე სემესტრის დაწყებამდე განხორციელდებოდა.

6. სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

პროგრამის მოკლე აღწერა:	
პროგრამის დასახელება:	ეკონომიკა
განათლების საფეხური:	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია:	სოციალური მეცნიერებების ბაკალავრი
სწავლების ენა:	ქართული
კრედიტების რაოდენობა:	240
კვალიფიკაციის კოდი:	07

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა და რეკომენდაციები საბჭოს გოჩა თუთბერიძემ წარუდგინა:

- სასურველი იქნებოდა, სილაბუსში ცალკეული თემის მიხედვით მითითებული ყოფილიყო შესაბამისი სავალდებულო ლიტერატურის გვერდები: ამ გზით სტუდენტისთვის მეტი სიცხადე და გარკვეულობა შეიქმნებოდა განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როცა სავალებულო ლიტერატურა ერთზე მეტი იყო მითითებული;
- სასურველი იქნებოდა, პროგრამაში დაზუსტებულიყო, რომ პრაქტიკის მიზნიდან გამომდინარე, პრაქტიკულ კომპონენტზე უნდა მომხდარიყო დამამთავრებელი სემესტრის სტუდენტის რეგისტარცია ე.ი. სტუდენტს უკვე გავლილი უნდა ჰქონოდა

პროგრამით გათვალისწინებული ყველა სავალდებულო საგანი. გარდა ამისა, მიზანშეწონილი იქნებოდა, გაფართოვებულიყო პრაქტიკის ობიექტების არეალი და შესაბამისად დაზუსტებულიყო პრაქტიკის სილაბუსის შინაარსი, სწავლისა და სწავლების მეთოდები;

- სასურველი იქნებოდა, ზოგიერთი სასწავლო კურსი (მაგ. ეკონომიკური სოციოლოგია) სავალდებულოდან გადასულიყო არჩევითი საგნების ბლოკში, ხოლო პროგრამის სავალდებულო საგნების ბლოკი გამდიდრებულიყო ეკონომიკის პროფილის სასწავლო კურსებით;
- სასურველი იქნებოდა, გაზრდილიყო სპეციალობის არჩევითი საგნების რაოდენობა.

ექსპერტის განცხადებით პროგრამა იყო შედგენილი კვალიფიციურად და გადიოდა სწავლის შედეგებზე.

საბჭოს წევრი, ნათელა სახოკია, დაინტერესდა, თუ სად გადიოდნენ პროგრამის სტუდენტები პრაქტიკას.

სხდომის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ეკონიმიკისა და ბიზნესის კურსდამთავრებულები პრაქტიკას გადიოდნენ გორში მოქმედ ბანკებში გაფორმებული მემორანდუმების საფუძველზე. ასევე, მიმდინარეობდა მოლაპარაკება ეკონომიკის სამინისტროსთან.

გვერდების მითითებასთან დაკავშირებულ რეკომენდაციაზე უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ არ თვლიდნენ მიზანშეწონილად დაწვრილმანებას, რადგან ბაკალავრიატის საფეხურზე ხელმძღვანელობდნენ მხოლოდ ორი წიგნით.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ გამომდინარე იქიდან, რომ კურსდამთავრებულს ენიჭებოდა სოციალური მეცნიერებების ბაკალავრის კვალიფიკაცია და ეკონომიკური სოციოლოგია ორი დარგის - ეკონომიკისა და სოციოლოგიის მიჯნაზე არსებობდა, ამის გამო ჩასვეს სავალდებულო საგნად, თუმცა შესაძლებელი იყო არჩევით კურსებში გადატანა.

საბჭოს წევრი, ნათელა სახოკია, დაინტერესდა კიდევ რა საგნებს ასწავლიდნენ სოციოლოგიის განხრით.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ისწავლებოდა სოციალური პოლიტიკა და სოციოლოგიის საფუძვლები.

საბჭოს წევრმა, თამარ ზარანდიამ იკითხა, პროგრამაში მხოლოდ ადგილობრივი ადამიანური რესურსი მონაწილეობდა თუ იყვნენ ჩართულები მოწვეული სპეციალისტებიც.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მათ ჰყავდათ საკმაოდ კვალიფიციური ადგილობრივი აკადემიური პერსონალი, თუმცა იყვნენ მოწვეული სპეციალისტებიც.

7. **სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ბიზნესის ორგანიზაციისა და მართვის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;**

პროგრამის მოკლე აღწერა:	
პროგრამის დასახელება:	ბიზნესის ორგანიზაცია და მართვა
განათლების საფეხური:	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია:	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი
სწავლების ენა:	ქართული
კრედიტების რაოდენობა:	240
კვალიფიკაციის კოდი:	02

საბჭოს წინაშე ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა და რეკომენდაციები გოჩა თუთბერიძემ წარადგინა:

- სასურველი იქნებოდა, გაზრდილიყო სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსების რაოდენობა.
- სასურველი იქნებოდა, სილაბუსში ცალკეული თემის მიხედვით, მითითებულიყო შესაბამისი სავალდებულო ლიტერატურის გვერდები იმ შემთხვევაში, როცა სავალდებულო ლიტერატურა იყო ერთზე მეტი;

სხდომის თავმჯდომარემ სიტყვა დაწესებულების წარმომადგენელს გადასცა.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ იზიარებდნენ ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციებს. რაც შეეხებოდა სილაბუსებში გვერდების მითითებას, მიუხედავად იმისა, რომ სტანდარტში არ იყო ამის ვალდებულება, დაწესებულება მაინც შეეცდებოდა, მხედველობაში მიეღო რეკომენდაცია.

8. **სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის საბუღალტრო და საგადასახადო საქმის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;**

პროგრამის მოკლე აღწერა:	
პროგრამის დასახელება:	საგადასახადო და საბუღალტრო საქმე
განათლების საფეხური:	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია:	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი
სწავლების ენა:	ქართული
კრედიტების რაოდენობა:	240
კვალიფიკაციის კოდი:	02

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა და რეკომენდაციები საბჭოს წინაშე გოჩა თუთბერიძემ წარადგინა:

- სასურველი იქნებოდა, გაზრდილიყო სპეციალობის არჩევითი კრედიტების მოცულობა და არჩევითი სასწავლო კურსების რაოდენობა;
- სასურველი იქნებოდა, სილაბუსში ცალკეული თემის მიხედვით მითითებული ყოფილიყო შესაბამისი სავალდებულო ლიტერატურის გვერდები: ამ გზით, სტუდენტისთვის მეტი სიცხადე და გარკვეულობა შეიქმნებოდა განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როცა სავალდებულო ლიტერატურა ერთზე მეტი იყო მითითებული;
- სასწავლო კურსის სილაბუსებში მითითებულ ძირითადი და დამატებითი ლიტერატურით სტუდენტებს უზრუნველყოფდა დაწესებულების ბიბლიოთეკა, თუმცა სწავლის შედეგების გაუმჯობესების მიზნით, სასურველი იქნებოდა სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომი ყოფილიყო სახელმძღვანელოების კიდევ უფრო ფართო არჩევანი. სილაბუსებში შეთავაზებული ყოფილიყო მრავალფეროვანი და თანამედროვე უცხოენოვანი ლიტერატურა, რომელიც უფრო მეტად უზრუნველყოფდა კურსის შედეგების მიღწევას.
- სასურველი იქნებოდა, პროგრამაში დაზუსტებულიყო, რომ პრაქტიკის მიზნიდან გამომდინარე, პრაქტიკულ კომპონენტზე სტუდენტის რეგისტრაციისას იგი უნდა ყოფილიყო დამამთავრებელი სემესტრის სტუდენტი ე.ი. გავლილი უნდა ჰქონოდა პროგრამით გათვალისწინებული ყველა სავალდებულო საგანი. გარდა ამისა, მიზანშეწონილი იქნებოდა, გაფართოებულიყო პრაქტიკის ობიექტების არეალი და შესაბამისად დაზუსტებულიყო პრაქტიკის სილაბუსის შინაარსი, სწავლისა და სწავლების მეთოდები;

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მისცა მოსაზრებების გამოთქმის საშუალება.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ აღნიშნული პროგრამა იყო მოთხოვნადი და ყველაზე დასაქმებადი სპეციალიზაცია.

სხდომის თავმჯდომარე დაინტერესდა, აბარებდნენ თუ არა ამ მიმართულებით მაგისტრატურის საფეხურზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ მოთხოვნა მაგისტრატურაზეც არსებობდა და წინა წელს ჩარიცხული ჰყავდათ თბილისში მოქმედი უნივერსიტეტების ხუთი ბაკალავრი.

საბჭოს წევრი, ნათელა სახოკია დაინტერესდა, დამსაქმებლები თუ აქცევდნენ ყურადღებას, რომელი საფეხურის განათლებით მიდიოდა კურსდამთავრებული.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ კონკურსის დროს, დამსაქმებლები უპირატესობას ანიჭებდნენ მაგისტრატურის კურსდამთავრებულებს.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა პრაქტიკული ცოდნის თვალსაზრისით თუ იყო განსხვავება ბაკალავრსა და მაგისტრანტს შორის.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ თავად საკვალიფიკაციო ჩარჩო განსაზღვრავდა ბაკალავრისა და მაგისტრანტის ცოდნის დონეს, უნარების კუთხით ბაკალავრს შეეძლო განეხორციელებინა თავისი ცოდნა პრაქტიკაში მხოლოდ მკაცრი მითითებების შედეგად, ხოლო მაგისტრანტი იმოქმედებდა დამოუკიდებლად, სტრატეგიული დაგეგმვის თვალსაზრისითაც.

ექსპერტმა დაამატა, რომ მაგისტრატურის საფეხურზე შეთავაზებული კურსები არ იმეორებდა ბაკალავრიატის საგნებს, ორიენტირებული იყო პრაქტიკაზე და შეთავაზებული ლიტერატურაც შეესაბამებოდა სტანდარტებს.

საბჭოს წევრი, ნანა ცერცვაძე, დაინტერესდა სადიპლომო ნაშრომის არსით.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ სადიპლომო ნაშრომს წარმოადგენდა სამაგისტრო ნაშრომი, სადაც ტარდებოდა კვლევა, დგებოდა დასკვნები და სტუდენტი საბოლოოდ საკმაოდ ღირებულ ნაშრომს წარმოადგენდა.

9. **სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ფინანსების საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;**

პროგრამის მოკლე აღწერა:	
პროგრამის დასახელება:	ფინანსების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა
განათლების საფეხური:	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია:	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი
სწავლების ენა:	ქართული
კრედიტების რაოდენობა:	240
კვალიფიკაციის კოდი:	02

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა და რეკომენდაციები საბჭოს გოჩა თუთბერიძემ გააცნო:

- სასურველი იქნებოდა, გაზრდილიყო სპეციალობის არჩევითი კრედიტების მოცულობა და ასევე არჩევითი სასწავლო კურსების რაოდენობა;
- სასურველი იქნებოდა, სასწავლო კურსის „ფინანსური აღრიცხვა" კრედიტების მოცულობა გაზრდილიყო და ნაცვლად 5 კრედიტისა, მიწოდებული ყოფილიყო 10 კრედიტის მოცულობით, რაც სავსებით შესაძლებელი იქნებოდა საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმის მცირეოდენი კორექტირებით;
- სასურველი იყო, სილაბუსში ცალკეული თემის მიხედვით ყოფილიყო მითითებული შესაბამისი სავალდებულო ლიტერატურის გვერდები: ამ გზით სტუდენტისთვის მეტი სიცხადე და გარკვეულობა იქნებოდა შექმნილი, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როცა სავალდებულო ლიტერატურად მითითებული იყო ერთზე მეტი წიგნი;
- სასწავლო კურსის სილაბუსებში მითითებულ ძირითადი და დამატებითი ლიტერატურით სტუდენტებს უზრუნველყოფდა დაწესებულების ბიბლიოთეკა, თუმცა სწავლის შედეგების გაუმჯობესების მიზნით, სასურველი იქნებოდა, ყოფილიყო სახელმძღვანელოების კიდევ უფრო ფართო არჩევანი. სილაბუსებში შეთავაზებული ყოფილიყო მრავალფეროვანი და თანამედროვე უცხოენოვანი ლიტერატურა, რომელიც უფრო მეტად უზრუნველყოფდა კურსის შედეგების მიღწევას.

- სასურველი იქნებოდა, პროგრამაში დაზუსტებულიყო, რომ პრაქტიკის მიზნიდან გამომდინარე, პრაქტიკულ კომპონენტზე სტუდენტის რეგისტრაციისას იგი უნდა ყოფილიყო დამამთავრებელი სემესტრის სტუდენტი ე.ი. გავლილი უნდა ჰქონოდა პროგრამით გათვალისწინებული ყველა სავალდებულო საგანი. გარდა ამისა, მიზანშეწონილი იქნებოდა, გაფართოებულიყო პრაქტიკის ობიექტების არეალი და შესაბამისად, დაზუსტებულიყო პრაქტიკის სილაბუსის შინაარსი, სწავლისა და სწავლების მეთოდები;

სხდომის თავმჯდომარემ სიტყვა დაწესებულების წარმომადგენელს გადასცა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მაქსიმალურად შეეცდებოდნენ მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებას.

10. სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

პროგრამის მოკლე აღწერა:	
პროგრამის დასახელება:	ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა
განათლების საფეხური:	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია:	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ტურიზმში
სწავლების ენა:	ქართული
კრედიტების რაოდენობა:	240
კვალიფიკაციის კოდი:	1120

ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები საბჭოს წევრებს გოჩა თუთბერიძემ გააცნო:

- სასურველი იქნებოდა, გაზრდილიყო სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსების რაოდენობა.
- სასურველი იქნებოდა, სილაბუსში ცალკეული თემის მიხედვით, მითითებული ყოფილიყო შესაბამისი სავალდებულო ლიტერატურის გვერდები იმ შემთხვევაში, როცა სავალდებულო ლიტერატურა ერთზე მეტი იყო;
- სასწავლო გეგმითა და პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრებით დასტურდებოდა, რომ პრაქტიკა გათვალისწინებული იყო ბოლო სემესტრში, თუმცა სასურველი იქნებოდა, პრაქტიკის წინაპირობაში განსაზღვრული ყოფილიყო ყველა ის სასწავლო კურსი, რომელიც პრაქტიკის წინაპირობას წარმოადგენდა.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მისცა მოსაზრებების გამოთქმის საშუალება.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, ტურიზმი ბოლო პერიოდში გახდა მოთხოვნადი და პოპულარული. დასაქმების თვალსაზრისით, კურსდამთავრებულები საქმდებოდნენ ტურისტულ სააგენტოებში, ტურიზმის ობიექტებში - კერძოდ, სასტუმროებში, სააგენტოებში, მუზეუმებში, და ა.შ. დაწესებულება მონაწილეობას იღებდა გრენობლის უნივერსიტეტთან (საფრანგეთი) ერთად შემუშავებულ პროექტში და მათი ხელმძღვნელობით მუშაობდნენ სასტუმროს მეურნეობის მენეჯმენტის ერთობლივ საბაკალავრო პროგრამაზე. მან აღნიშნა, რომ პროგრამაში შევიდოდა გარკვეული ცვლილებები ექსპერტთა ჯგუფის მიერ მიცემული რეკომენდაციების გათვალისწინებით.

11. სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ტურიზმის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

პროგრამის მოკლე დახასიათება:

პროგრამის დასახელება:	ტურიზმის მენეჯმენტის სამაგისტრო
განათლების საფეხური:	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია:	ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი ტურიზმში
სწავლების ენა:	ქართული
კრედიტების რაოდენობა:	120
კვალიფიკაციის კოდი:	1120

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა გოჩა თუთბერიძემ წარადგინა. მან საბჭოს წევრებს გააცნო ექსპერტების მიერ შემუშავებული რეკომენდაციები:

- სასურველი იქნებოდა, გაზრდილიყო სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსების რაოდენობა.
- სასურველი იქნებოდა, სილაბუსში ცალკეული თემის მიხედვით, მითითებული ყოფილიყო შესაბამისი სავალდებულო ლიტერატურის გვერდები იმ შემთხვევაში, როცა სავალდებულო ლიტერატურა ერთზე მეტი იყო;
- სასწავლო გეგმითა და პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრებით დასტურდებოდა, რომ პრაქტიკა ბოლო სემესტრში იყო გათვალისწინებული, თუმცა სასურველი იქნებოდა, პრაქტიკის წინაპირობაში განსაზღვრული ყოფილიყო ყველა სასწავლოკურსი.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მოსაზრებების გამოთქმის საშუალება მისცა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ იზიარებდნენ ექსპერტთა ჯგუფის შეფასებას და აუცილებლად გაითვალისწინებდნენ შემუშავებულ რეკომენდაციებს.

12. სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ბიზნესის ორგანიზაციისა და მართვის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება:	ბიზნესის ორგანიზაცია და მართვა
განათლების საფეხური:	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია:	ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი
სწავლების ენა:	ქართული
კრედიტების რაოდენობა:	120
კვალიფიკაციის კოდი:	0203

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა გოჩა თუთბერიძემ წარადგინა. მან საბჭოს წევრებს ექსპერტების მიერ შემუშავებული რეკომენდაციები გააცნო:

- სასურველი იქნებოდა, გაზრდილიყო სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსების რაოდენობა.
- სასურველი იქნებოდა, სილაბუსში ცალკეული თემის მიხედვით მითითებული ყოფილიყო შესაბამისი სავალდებულო ლიტერატურის გვერდები იმ შემთხვევაში, როცა სავალდებულო ლიტერატურა იყო ერთზე მეტი;
- სასწავლო კურსის სილაბუსებში მითითებული ძირითადი და დამატებითი ლიტერატურით სტუდენტებს უზრუნველყოფდა დაწესებულების ბიბლიოთეკა, თუმცა სწავლის შედეგების გაუმჯობესების მიზნით, სასურველი იქნებოდა, სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომი ყოფილიყო სახელმძღვანელოების კიდევ უფრო ფართო არჩევანი. სილაბუსებში შეთავაზებული ყოფილიყო მრავალფეროვანი და თანამედროვე უცხოენოვანი ლიტერატურა, რომელიც უფრო მეტად უზრუნველყოფდა კურსის შედეგების მიღწევას.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მისცა აზრის გამოთქმის საშუალება.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მაგისტრატურის საფეხურზე სტუდენტს თვითონაც უნდა შეძლებოდა, სილაბუსში მითითებული თემის მიხედვით წიგნში სასურველი გვერდები მოეძებნა. ამის აუცილებლობას სტანდარტი არ მოითხოვდა. მან უცხოენოვან კომპონენტთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ინგლისური ენა 20-30 კრედიტის ფარგლებში და სტუდენტს ასევე შეეძლო ნებისმიერი სხვა უცხო ენის შერჩევა. ბაკალავრიატში კი უცხოენოვანი ლიტერატურა იმის გამო არ გაითვალისწინეს დიდი დოზით, რომ, მათი მოსაზრებით, ბაკალავრიატის საფეხურზე სტუდენტს არ შესწევდა უნარი, სრულად აეთვისებინა მოცემული მასალა, ხოლო მაგისტრატურის საფეხურზე ლიტერატურა მაქსიმალურად შეჯერებულად იყო წარმოდგენილი - ერთი ქართულენოვანი და ერთი უცხოენოვანი სახელმძღვანელოს სახით, ასევე აღინიშნა, რომ მაგისტრატურაზე ჩარიცხვის დროს მოითხოვებოდა ინგლისური ენის ჩაბარება.

საბჭოს წევრი, ნანა ცერცვაძე, დაინტერესდა პრაქტიკული კომპონენტისთვის დათმობილი კრედიტების რაოდენობით.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ პრაქტიკული კომპონენტი, როგორც ბაკალავრიატის, ასევე მაგისტრატურის საფეხურზე იყო 10-კრედიტიანი. მან ასევე აღნიშნა, რონ პროგრამის გაუმჯობესების მიზნით, მის შემუშავებაში ჩართულები იყვნენ პრაქტიკის ობიექტების წარმომადგენლები.

საბჭოს წევრი, ნანა ცერცვაძე, დაინტერესდა, როგორ ხდებოდა საბაკალავრო და სამაგისტრო სასწავლო კომპონენტების გამიჯვნა და ბაკალავრიატის კურსადმთავრებულები თუ აბარებდნენ იმავე დაწესებულებაში სამაგისტრო პროგრამაზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ზოგიერთ დარგში რთული იყო იმის გამიჯვნა, თუ რა უნდა ყოფილიყო შესწავლილი ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის საფეხურებზე. ამიტომ, დაწესებულება სისტემატურად გადიოდა კონსულტაციებს საქართველოს სხვადასხვა უნივერსიტეტთან, აკვირდებოდა და სწავლობდა მათ პროგრამებს, ეცნობოდა საზღვარგარეთის პრესტიჟული უნივერსიტეტების პროგრამებს, რომელთაგან ნაწილი წარმოადგენდა ფუნდამენტურ კურსებს და მათი ანალოგები გადმოიტანილი ჰქონდათ გორის სასწავლო უნივერსიტეტში.

დაწესებულების წარმომადგენელმა მეორე კითხვასთან დაკავშირებით განმარტა, რომ მაგისტრატურაში მათი ბაკალავრიატის კურსადამთავრებულების გარდა, აბარებდნენ თბილისის სხვადასხვა სასწავლო დაწესებულების კურსდამთავრებულებიც.

13. სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის საბუღალტრო და საგადასახადო საქმის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

პროგრამის მოკლე აღწერა:	
პროგრამის დასახელება:	საბუღალტრო და საგადასახადო საქმე
განათლების საფეხური:	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია:	ბიზნესის ადმინისტრიტრების მაგისტრი
სწავლების ენა:	ქართული
კრედიტების რაოდენობა:	120
კვალიფიკაციის კოდი:	0201

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა წარადგინა გოჩა თუთბერიძემ. მან საბჭოს წევრებს გააცნო ექსპერტების მიერ შემუშავებული რეკომენდაციები:

- სასურველი იქნებოდა, გაზრდილიყო სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსების რაოდენობა;
- სასურველი იქნებოდა, სილაბუსში ცალკეული თემის მიხედვით, მითითებული ყოფილიყო შესაბამისი სავალდებულო ლიტერატურის გვერდები იმ შემთხვევაში, როცა სავალდებულო ლიტერატურა იყო ერთზე მეტი;
- სასწავლო კურსის სილაბუსებში მითითებული ძირითადი და დამატებითი ლიტერატურით სტუდენტებს უზრუნველყოფდა დაწესებულების ბიბლიოთეკა,

თუმცა სწავლის შედეგების გაუმჯობესების მიზნით, სასურველი იქნებოდა, სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომი ყოფილიყო სახელმძღვანელოების კიდევ უფრო ფართო არჩევანი. სილაბუსებში შეთავაზებული ყოფილიყო მრავალფეროვანი და თანამედროვე უცხოენოვანი ლიტერატურა, რომელიც უფრო მეტად უზრუნველყოფდა კურსის შედეგების მიღწევას.

სხდომის თავმჯდომარემ სიტყვა დაწესებულების წარმომადგენელს გადასცა.

სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ იზიარებდნენ ექსპერტთა შეფასებას და აუცილებლად გაითვალისწინებდნენ მათ რეკომენდაციებს.

14 სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ფინანსების სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

პროგრამის მოკლე აღწერა:	
პროგრამის დასახელება:	ფინანსების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა
განათლების საფეხური:	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია:	ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი
სწავლების ენა:	ქართული
კრედიტების რაოდენობა:	120
კვალიფიკაციის კოდი:	0204

ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები გოჩა თუთბერიძემ წარადგინა:

- სასურველი იქნებოდა, გაზრდილიყო სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსების რაოდენობა.
- სასურველი იქნებოდა, სილაბუსში ცალკეული თემის მიხედვით მითითებული ყოფილიყო შესაბამისი სავალდებულო ლიტერატურის გვერდები იმ შემთხვევაში, როცა სავალდებულო ლიტერატურა იყო ერთზე მეტი;
- სასწავლო კურსის სილაბუსებში მითითებული ძირითადი და დამატებითი ლიტერატურით სტუდენტებს უზრუნველყოფდა დაწესებულების ბიბლიოთეკა, თუმცა სწავლის შედეგების გაუმჯობესების მიზნით, სასურველი იქნებოდა, ყოფილიყო სახელმძღვანელოების კიდევ უფრო ფართო არჩევანი. სილაბუსებში შეთავაზებული ყოფილიყო მრავალფეროვანი და თანამედროვე უცხოენოვანი ლიტერატურა, რომელიც უფრო მეტად უზრუნველყოფდა კურსის შედეგების მიღწევას.

სხდომის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს კვალიფიციური შეფასებებისათვის და მზადყოფნა გამოხატა მოცემული რეკომენდაციების შესრულებისთვის.

11. შპს წმიდა გრიგოლ ფერაძის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა:

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება:	ინგლისური ფილოლოგია
განათლების საფეხური:	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია:	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი
სწავლების ენა:	ქართული
კვალიფიკაციის კოდი:	10
კრედიტების რაოდენობა:	240

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს ექსპერტმა - ეკატერინე ბაკარაძემ გააცნო. მან აღნიშნა, რომ პროგრამა შეესაბამებოდა დაწესებულების მისიას, თანაბრად იყო გადანაწილებული ლინგვისტიკისა და ლიტერატურის კურსები. პროგრამაში გათვალისწინებული იყო როგორც მხატვრული, ასევე დარგობრივი თარგმანის შემსწავლელი კურსები. პროგრამა გულისხმობდა სტუდენტის მომზადებას ინგლისური ენის C1 დონეზე. კარგად იყო გააზრებული სწავლების მეთოდოლოგია, შეფასების სისტემა, კომპეტენციების თანმიმდევრობა. ექსპერტმა გაახმოვანა დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

- სასწავლო გეგმაში კონკრეტულად არის გაწერილი ის სასწავლო კურსები, რომელთა არჩევის შესაძლებლობა ეძლევა სტუდენტს თავისუფალი კრედიტების სახით. არ შეიძლება, ლიტერატურათმცოდნეობა, ხელოვნებათმცოდნეობა მოიაზრებოდეს სხვა ფაკულტეტის საბაკალავრო პროგრამაში შემავალ (ბიზნესისა და მართვის, ვეტერინარიისა და ტექნოლოგიების) სასწავლო კურსებად. სასურველია, თავისუფალი კრედიტების მოდულში შემავალი სასწავლო კურსები გადატანილ იქნას არჩევით ბლოკში (ფილოსოფია, ფსიქოლოგიის შესავალი, მეტყველების კულტურა);
- საბაკალავრო პროგრამაში გაწერილი სპეციალობის სავალდებულო მოდულის კრედიტები (175 კრედიტი) შეუსაბამობაშია შპს „წმიდა გრიგოლ ფერაძის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის" ბაკალავრიატის დებულებასთან (რექტორის 2014 წლის 12 ივნისის #7 ბრძანება), რომლის მიხედვითაც, ინგლისური ფილოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამის სპეციალობის სავალდებულო მოდული მოიცავს 170 კრედიტს (მათ შორის, საბაკალავრო ნაშრომი - 10 კრედიტი), რომელიც არ არის გათვალისწინებული საბაკალავრო პროგრამაში; ასევე, ბაკალავრიატის დებულებით განსაზღვრული თავისუფალი მოდული 25 კრედიტის ოდენობით შეუსაბამოა პროგრამაში გათვალისწინებულ 20 კრედიტთან;
- პროგრამაში გათვალისწინებულია წერითი კომპეტენციების განმავითარებელი 4 სასწავლო კურსი (აკადემიური წერა, საქმიანი წერა, წერითი თარგმანი, წერითი

პრაქტიკა). სასურველია, პროგრამა ასევე ითვალისწინებდეს საბაკალავრო ნაშრომის კომპონენტსაც, რაც გათვალისწინებულია შიდა მარეგულირებელ დოკუმენტებში;

- უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს თანამშრომლობის მემორანდუმი ასოციაცია „კულტურათაშორისი ურთიერთობების საზოგადოებასთან“ და დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატთან საწარმოო პრაქტიკის შესახებ, თუმცა საწარმოო პრაქტიკა არ არის საბაკალავრო პროგრამის კომპონენტი. რადგანაც პროგრამა ჯერ არ განხორციელებულა, უნივერსიტეტს არ აქვს გაფორმებული შესაბამისი მემორანდუმები პოტენციურ დამსაქმებლებთან, რომლებსაც შესაბამისად, არ მიუღიათ მონაწილეობა პროგრამის შემუშავების პროცესში;
- სასურველია, პროგრამის მიღების წინაპირობაში დაკონკრეტდეს ინგლისური ენის მინიმალური კომპეტენციების ზღვარი ან საბაკალავრო პროგრამაში ინგლისური ენის სწავლება შეთავაზებული იყოს უფრო დაბალი საფეხურიდან (და არა B1 დონიდან);
- სტუდენტებისათვის კონსულტაციის გაწევის ვალდებულება და საათობრივი მოცულობა უნივერსიტეტის არცერთ მარეგულირებელ დოკუმენტში, არც პერსონალთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში არ არის განსაზღვრული. სტუდენტებთან ინდივიდუალური მუშაობა ასახულია მხოლოდ სასწავლო კურსის სილაბუსებში, რომლის მიხედვით, სტუდენტებს ჩაუტარდებათ კონსულტაციები ფაკულტეტის დეკანის მიერ შედგენილი ცხრილის მიხედვით. სასურველია, პერსონალის ხელშეკრულებებსა და დატვირთვის სქემაში ან სხვა მარეგულირებელ დოკუმენტაციაში გათვალისწინებულ იქნას საკონსულტაციო საათები;
- უნივერსიტეტს ჯერ არა აქვს გაფორმებული თანამშრომლობის მემორანდუმი უცხოურ უნივერსიტეტებთან თუ სხვა პარტნიორებთან, რაც ხელს შეუწყობდა სტუდენტთა ჩართულობას საერთაშორისო პროექტებში. უნივერსიტეტი აპირებს ითანამშრომლოს ვარშავის სახელმწიფო უნივერსიტეტთან. სასურველია ქმედითი ღონისძიებების განხორციელება ამ მიმართულებითაც;
- სილაბუსში მითითებული ძირითადი და დამხმარე ლიტერატურა ხელმისაწვდომია სასწავლო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში, ბევრი მათგანი უზრუნველყოფილია ქსეროასლებით. აღსანიშნავია, რომ სასწავლო უნივერსიტეტის ბიუჯეტში ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის ბიუჯეტში საბიბლიოთეკო ფონდის შევსებისთვის გამოყოფილია 1456 ლარი, რაც საკმაოდ მწირია;
- სასურველია, კონკრეტული სასწავლო კურსების სილაბუსებში (წერითი პრაქტიკა, თარგმანის თეორია და პრაქტიკა, თეორიული ფონეტიკა) კარგად იქნას გააზრებული სწავლების შედეგები და მათი მიღწევის გზები.

ექსპერტმა ყურადღება გაამახვილა დასკვნაში დაფიქსირებულ ფაქტზე, რომ პროგრამაში ჩართული ასოცირებული პროფესორი - ალექსანდრა ნოზაძე, ამავე აკადემიურ თანამდებობაზე ფიქსირდებოდა წმიდა გრიგოლ ფერაძის სასწავლო უნივერსიტეტის გარდა კიდევ ორ უნივერსიტეტში - ნიუ ვიჟენსა და შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში, რაც კანონმდებლობით დაუშვებელი იყო.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს მოსაზრების გამოთქმის შესაძლებლობა.

პროგრამის ხელმძღვანელმა, ირინა ჯობავამ, პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით განმარტა, რომ ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საგანმანათლებლო პროგრამის კომბინირება შესაძლებელი იყო ძირითადი სპეციალობისა და თავისუფალი კომპონენტების მოდელით. სწორედ ეს მოდელი აირჩია დაწესებულებამ პროგრამის ასაგებად და კრედიტები შემდეგნაირად გადანაწილდა: საუნივერსიტეტო მოდული – 20 კრედიტი, სპეცილობის სავალდებულო მოდული-175 კრედიტი, სპეციალობის არჩევითი მოდული - 25 კრედიტი, თავისუფალი მოდული-20 კრედიტი. თავისუფალი მოდულის საგნები, რომელიც ორიენტირებული იყო სტუდენტის ზოგადი განათლების დონის ამაღლებაზე ვერ იქნებოდა არჩევით ბლოკში, რომელიც მიმართული უნდა ყოფილიყო სპეციალობის არჩევით დისციპლინებზე. აქვე გასცა პასუხი საბაკალავრო და საწარმოო პრაქტიკის არარსებობასთან დაკავშირებულ რეკომენდაციას - ავტორიზებულ რეჟიმში მათ ჰქონდათ ორივე კომპონენტი, საბაკალავრო ნაშრომი საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში და საწარმოო პრაქტიკა სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში. თუმცა, ავტორიზაციის ექსპერტების რეკომენდაციით, რადგან ენის ცოდნა C1 დონეზე საკმაოდ რთული მისაღწევი იყო, დაწესებულებას შეეძლო, პროგრამიდან ამოეღო საბაკალავრო ნაშრომი და ამის ხარჯზე გაეზარდა ენობრივი კომპეტენციისთვის საჭირო კურსები. პროგრამის ხელმძღვანელის თქმით, რეკომენდაცია გაითვალისწინეს, მიღებული კურიკულუმით დასახული მიზნების მიღწევა უფრო რეალურად მიაჩნდათ.

საბჭოს წევრმა, თამარ ზარანდიამ სპეციალობის სავალდებულო მოდულის კრედიტების რაოდენობასთან დაკავშირებით, კიდევ ერთხელ ითხოვა დაკონკრეტება, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა განუმარტა, რომ რექტორის ბრძანებით დამტკიცებული იყო 170 კრედიტი, ხოლო დებულებაში მითითებული კრედიტების განაწილება საორიენტაციო იყო.

სხდომის თავმჯდომარე დაინტერესდა საბაკალავრო ნაშრომის კურსის განხორციელებისათვის საჭირო რესურსით. აღნიშნული კომპონენტი მნიშვნელოვანი იყო, სტუდენტებს უადვილებდა სამაგისტრო პროგრამაზე სწავლას. ამაზე დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ მათ აქცენტი გააკეთეს პრაქტიკაზე.

ექსპერტმა დააზუსტა რეკომენდაციის შინაარსი, რადგან პროგრამით წერითი კომპეტენციების განმავითარებელი ოთხი სასწავლო კურსი იყო გათვალისწინებული, ლოგიკური იქნებოდა, თუ შესაჯამებლად, ბოლო სემესტრში, შეთავაზებული იქნებოდა საბაკალავრო ნაშრომი. წინააღმდეგ შემთხვევაში, გაუგებარი იყო ამ კურსების არსებობა ამხელა დოზით.

საბჭოს წევრმა, ნათელა სახოკიამ, დაწესებულების წარმომადგენლებს კითხვით მიმართა, თუ ისწავლებოდა აღნიშნული კურსები ცალ-ცალკე.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ექსპერტთა მიერ ნახსენები ოთხი დისციპლინის გაერთიანება არ შეიძლებოდა, რადგან მათ გააჩნდათ სხვადასხვა დანიშნულება და თითოეული მნიშვნელოვანი იყო საბაკალავრო პროგრამით განსაზღვრული დასაქმების სფეროების მოთხოვნებიდან გამომდინარე. სტუდენტს შეეძლებოდა მთარგმნელობითი საქმიანობის შესრულება ბიუროში, პრესაში, ტელევიზიაში კორესპონდენციის (წერილების,

მემოს, ანგარიშის, სტატიის და ა.შ) წარმოება ინგლისურ ენაზე, საელჩოში ან ნებისმიერი ორგანიზაციის საინფორმაციო და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილებაში მუშაობა, ყველგან, სადაც მოთხოვნა იქნებოდა ინგლისური ენის C1 დონის მქონე სპეციალისტზე. ზუსტად ამ კომპეტენციების განვითარებაზე იყო ორიენტირებული წერითი პრაქტიკისა და საქმიანი წერის კურსები. ინგლისური ენის რთული ორთოგრაფიის გათვალისწინებით, პროგრამით განსაზღვრული იყო მისი სწავლება პირველივე წელს. საქმიანი წერის კურსი ინგლისურად ასწავლიდა ოფიციალურ დოკუმენტებთან ურთიერთობას, წერილების სახეობასა და სტრუქტურას, რაც ძალზე მნიშვნელოვანი იყო საქმეთმწარმოებლობითი საქმიანობისთვის. მესამე დისციპლინა იყო წერითი თარგმანის კურსი, რომელიც ორიენტირებული იყო მთარგმნელობითი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებაზე და აბსოლუტურად განსხვავდებოდა ზემოთ მოყვანილი კურსებისაგან. აკადემიური წერის კურსი იკითხებოდა ქართულად, წარმოადგენდა საუნივერსიტეტო დისციპლინას და არ იყო კავშირში კონკრეტულად ინგლისურ ფილოლოგიასთან.

მეოთხე რეკომენდაციის საპასუხოდ, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტს დადებული ჰქონდა მემორანდუმები, თუმცა კონკრეტულად ინგლისური ენის საბაკალავრო პროგრამისათვის მემორანდუმი არ იყო გაფორმებული. პროგრამის აკრედიტაციის შემთხვევაში, იგეგმებოდა პოლონეთის სახელმწიფო უნივერსიტეტთან ხელშეკრულების დადება და თანამშრომლობა უშუალოდ პროგრამის ფარგლებში.

რაც შეეხებოდა მეხუთე რეკომენდაციას, პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ ეროვნული სასწავლო გეგმის თანახმად, აბიტურიენტი ფლობდა ზოგადევროპულ სარეკომენდაციო ჩარჩოს B1 დონეს, ამასთან, ინგლისური ენა სკოლებში იყო სავალდებულო. აქედან გამომდინარე, პროგრამის სასტარტო ენის დონე ვერ იქნებოდა A2. მეორე მიზეზი, რაც ასევე გამორიცხავდა ამ დონით ენის შეთავაზებას, დაკავშირებული იყო ინგლისური ფილოლოგიის პროგრამისადმი წაყენებულ მოთხოვნებთან, ვინაიდან პროგრამის საბოლოო სწავლის შედეგი გადიოდა ზოგადევროპულ სარეკომენდაციო ჩარჩოს მაღალ პროფესიულ დონეზე (C1 დონე), მხოლოდ B1 დონით დაწყების შემთხვევაში იქნებოდა შესაძლებელი ამ სწავლის შედეგების მიღწევა. დაწესებულების წარმომადგენლებმა მართებულად მიიჩნიეს და ნაწილობრივ დაეთანხმნენ, რომ შესაძელებლი იყო პროგრამაზე მიღების წინაპირობებში დაზუსტებულიყო ენის დონე, ან ზოგადად ჩაწერილიყო, რომ აბიტურიენტს მოეთხოვებოდა შეთავაზებული უცხო ენებიდან ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ინგლისური ენის ჩაბარება.

მეექვსე რეკომენდაციაზე დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ აკადემიური პერსონალის ხელეკრულებებში არ იყო გათვალისწინებული საკონსულტაციო საათების ვალდებულება, თუმცა გაწერილი იყო სტუდენტის სწავლების მარეგულირებელ წესსა და ფაკულტეტის დებულებაში. ასევე, დაშვებული იყო შტატი თანამშრომლისთვის, რომელიც სტუდენტებს კონსულტაციებს გაუწევდა საჭიროებისამებრ. აღნიშნული გათვალისწინებული იყო უნივერსიტეტის დებულებით, სადაც ეწერა, რომ პროფესორი სტუდენტებთან საკონსულტაციო საათებს დანიშნავდა ფაკულტეტის დეკანთან შეთანხმებით.

17:44 საათზე სხდომაზე გამოცხადდა შესვენება. საბჭოს სხდომა განახლდა 18:40 საათზე.

შპს წმიდა გრიგოლ ფერაძის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა გაგრძელდა. საბჭოს წევრმა, თამარ ზარანდიამ დააზუსტა ფაკულტეტის დებულებაში არსებული ჩანაწერი რაც გულისხმობდა, რომ სტუდენტებს კონსულტაციას უწევდა კოორდინატორი.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ჯერ არ ჰყავდათ სტუდენტები, საკონსულტაციო საათების ცხრილს სტუდენტთა მიღების შემდგომ შეადგენდნენ. ასევე, აღნიშნა საუნივერსიტეტო მემორანდუმების შესახებ, რომ პროგრამის აკრედიტაციის შემთხვევაში, იგეგმებოდა პოლონეთის უნივერსიტეტთან მემორანდუმის გაფორმება. იქამდე თავად პოლონური მხარე იკავებდა თავს.

საბიბლიოთეკო ფონდის შევსებისთვის გამოყოფილ თანხასთან დაკავშირებულ რეკომენდაციაზე დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ბიბლიოთეკა საკმაოდ მდიდარი იყო, თუმცა კიდევ იყო გათვალისწინებული ბიუჯეტში თანხა.

ექსპერტის თქმით, წიგნების უმეტესობა ქსეროასლების სახით იყო წარმოდგენილი და სასურველი იყო ისეთი წიგნების შეძენა, რომელთა შოვნაც სირთულეს არ წარმოადგენდა.

ბოლო რეკომენდაციასთან დაკავშირებით განმარტება გააკეთა პროგრამის ხელმძღვანელმა და აღნიშნა, რომ ნახსენებ სილაბუსებში ნათლად იყო გამოკვეთილი სწავლების შედეგები და მათი მიღწევის გზები:

წერითი პრაქტიკა - „ფლობს მართლწერის ძირითად წესებს; შეუძლია წინადადებების წერა მაქსიმალური სიზუსტით და მინიმალური შეცდომების დაშვებით; შეუძლია მოკლე თავისუფალი თემებისა და პირადი სახის წერილების შედგენა საჭირო ორთოგრაფიული და სტილისტური ნორმების დაცვით; მოცემული პრობლემის წერითი ანალიზი და საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა წერითი ფორმით. ამ ყოველივეს სტუდენტი აღწევს იმ სასწავლო მასალის შედეგად, რომელიც მომცემულია სილაბუსში და განისაზღვრება სავალდებულო ლიტერატურით (Littlejohn, Kutsenko).“

თარგმანის თეორია და პრაქტიკა -„შეუძლია თარგმანის კომუნიკაციურ-პრაგმატული ასპექტით გამოყენება, ოფიციალურ-საქმიანი, სამეცნიერო, საგაზეთო-პუბლიცისტური სარეკლამო ტექსტების, მხატვრული პროზისა და ლიტერატურის თარგმნა; შეუძლია თარგმანის შეფასების კრიტერიუმების გამოყენება, რედაქტირება და თვითრედაქტირება, რეფერირება და ანოტირება; შეუძლია მინიმალური ხელმძღვანელობის პირობებში, სხვადასხვა სფეროს უცხოენოვანი ავთენტური და არაავთენტური ტექსტების გაგება-ანალიზი-თარგმნა; ეს კომპეტენციები სტუდენტს ჩამოუყალიბდება სწორედ სასწავლო

გეგმაში მოცემული თეორიული საკითხებიდან და სამუშაო ჯგუფში პრაქტიკული აქტივობებიდან. ეს ასახულია ასევე ამ კურსის შეფასებაში და გამოყენებულ მეთოდებში."

თეორიული ფონეტიკა - „განვითარებული აქვს ინგლისური ენის საარტიკულაციო ბაზისისათვის დამახასიათებელი ჩვევები; შეუძლია სიტყვების და წინადადებების გამოთქმისას მახვილის სწორად დასმა, მარცვლების გამოყოფა, გაბმული მეტყველების ელემენტების გამოყენება, რიტმისა და ინტონაციის დაცვა; ინგლისურ ენაზე მაღალ-პროფესიულ დონეზე წარმოთქმა და სხვების გაგება; ლინგვისტური ანალიზის ჩატარება, მინიმალური წყვილების გამოყოფა და ტრანსკრიბირება ამის საშუალებას იძლევა მოცემული მასალა და როგორც სავალდებულო, ასევე დამატებითი ლიტერატურა."

რაც შეეხებოდა მეთოდებს, სამივე კურსის სწავლებისას გამოყენებული იყო უცხო ენის შესწავლისთვის ყველაზე აქტუალური და ეფექტური კომუნიკაციური სწავლების მეთოდი, რომელიც ორიენტირებული იყო ენის კომუნიკაციური კომპეტენციების განვითარებაზე. ასევე, ყოველ კურსს ჰქონდა განსაკუთრებული მეთოდი, რომელიც კონკრეტულად იმ სასწავლო დისციპლინის ეფექტურად სწავლებისკენ იყო მიმართული, მათ შორის - აუდიო-ვიზუალური, რომელიც აუცილებელი იყო წერითი პრაქტიკისა და თეორიული ფონეტიკის სწავლებისას, გრამატიკულ-მთარგმნელობითი, რომელიც აუცილებელი იყო თარგმანის სწავლებისას და მრავალი სხვა.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ კვალიფიციური კადრების მოზიდვა საკმაოდ რთული იყო დიდი უნივერსიტეტებისათვისაც, დაინტერესდა ამ თვალსაზრისით რა ვითარება იყო წმიდა გრიგოლ ფერაძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტში. ასევე განმარტება სთხოვა დაწესებულების წარმომადგენლებს, ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებულ ასოცირებულ პროფესორზე, რომელიც სამ უნივერსიტეტში ფიქსირდებოდა ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე, რაც კანონთან შეუსაბამო იყო.

უნივერსიტეტის წარმომადგენლის განმარტებით, პერსონალი შეესაბამებოდა შესაბამისი სტანდარტის მოთხოვნებს. სხვა უნივერსიტეტებთან თანამშრომლობას კი პროფესორებს ვერ დაუშლიდნენ.

ექსპერტებთან შეთანხმებისამებრ, დაწესებულების წარმომადგენლებს საბჭოზე უნდა წარმოედგინათ პროგრამაში ჩართული რამდენიმე პროფესორის ინგლისური ენის C1 დონის ფლობის დამადასტურებელი სერტიფიკატები. თუმცა, მათ წარმოადგინეს C1 დონის კურსის გავლის შესახებ ცნობა და აღნიშნეს, რომ პროფესორს რომელსაც დაცული ჰქონდა სამეცნიერო ნაშრომი დარგში გულისხმობდა, რომ ენასაც ფლობდა C1 დონეზე.

16.შპს წმიდა გრიგოლ ფერაძის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება:	ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა
განათლების საფეხური:	
მისანიჭებელი კვალიფიკაცია:	
სწავლების ენა:	
კვალიფიკაციის კოდი:	
კრედიტების რაოდენობა:	60

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა ელენე კიკალიშვილმა წარადგინა. მან აღნიშნა, რომ პროგრამა აზერბაიჯანულენოვანი სტუდენტებისთვის იყო განკუთვნილი და შედგებოდა გრამატიკული და ლექსიკური კომპონენტებისგან. მან განაცხადა, რომ აღნიშნულ პროგრამაზე ირიცხებოდნენ ძირითადად სტუდენტები, რომლებმაც საერთოდ არ იცოდნენ ქართული ენა. ელენე კიკალიშვილმა საბჭოს წევრებს გააცნო ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები:

- სასურველია, კურიკულუმის ფარგლებში დაიგეგმოს ქვეყანათმცოდნეობასთან დაკავშირებული კურსები, რომლებშიც სტუდენტები გაეცნობიან საქართველოსა და ზოგადად, ყოფით კულტურას;
- სასურველია, პროგრამაში დაიგეგმოს აქტივობები, რომლებიც უზრუნველყოფენ არაქართულენოვანი სტუდენტების ინტეგრაციას;
- სასურველია, პროგრამაში უფრო გააზრებულად დაიგეგმოს დარგობრივი ენის კომპონენტი;
- სასურველია, პროგრამა აიგოს კომუნიკაციურ მეთოდზე დაყრდნობით, შეფასებაში განისაზღვროს შედეგზე და არა თეორიულ ცოდნაზე ორიენტირებული კურსები და შეფასებები. სასურველია, პროგრამაში იყოს მეტი ლექსიკაზე ორიენტირებული კურსები, რომლებიც აღებულია ყოველდღიური ყოფითი სიტუაციებიდან;
- სასურველია, პროგრამაში ჩაერთოს აკადემიური პერსონალი, რომელსაც ახალი მეთოდებით სწავლების გამოცდილება გააჩნია, ან მიიღებს გამოცდილებას ენის სწავლების უახლეს მეთოდებში;
- ვინაიდან ქართულის, როგორც უცხო ენის სწავლების სფერო ახალია, სასურველია, ინტერნაციონალიზაციის თვალსაზრისით დამყარდეს სხვა ქვეყნებში მეორე ენის სწავლების გამოცდილების თვალსაზრისით შესაბამისი კონტაქტები, ან ასევე ადგილობრივად სხვადასხვა საერთაშორისო ენის ცენტრებთან დამყარდეს კონტაქტები და აღებული იყოს მათგან მეთოდოლოგიური გამოცდილება, დაიგეგმოს ერთობლივი ტრენინგები და ა.შ.;
- სასურველია, კურიკულუმის შედგენისას თემები შეთანხმებული იყოს საბაკალავრო საფეხურის პროგრამის წარმომადგენლებთან და ამის მიხედვით გაკეთდეს

დარგობრივი კურსები. გამომდინარე იქიდან, რომ B1+ დონის დაუფლების შემთხვევაში, რთულია საბაკალავრო საფეხურზე კურსების შესწავლა, აუცილებელია, შემუშავდეს გეგმა პირველ კურსზე სტუდენტების ენობრივი დახმარებისთვის;

- სასურველია, ქართულ ენაში მომზადების პროგრამა განსაზღვრული იყოს არამარტო აზერბაიჯანულენოვანთათვის, არამედ სხვა ეროვნული უმცირესობებისთვისაც, რაც გაზრდიდა პროგრამაზე ჩარიცხვის სამიზნე ჯგუფს.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ პროგრამიდან არ ჩანდა პრაქტიკული და თეორიული ცოდნის სინთეზი. კურსის ბოლოს არ იყო გათვალისწინებული საერთო გამოცდა, რომელიც რეალურ შედეგს აჩვენებდა. მან განაცხადა, რომ პრაქტიკული და თეორიული ცოდნის სინთეზის გაკეთების საშუალება პროგრამიდან არ ჩანდა. ექსპერტი თვლიდა, რომ პროგრამის ბოლოს, აუცილებლად უნდა ყოფილიყო გათვალისწინებული ერთობლივი შეფასება. ასევე, საჭირო იყო პროგრამის განმახორციელებელი ადამიანური რესურსის გადამზადება, რათა გაეთვალისწინებინათ ენის სწავლების სპეციფიკა უცხოენოვანი სტუდენტებისთვის.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს აზრის გამოთქმის საშუალება მისცა. დაწესებულების წარმომადგენელმა, რუსუდან ჭუმბურიძემ, აღნიშნა, რომ პირველ რეკომენდაციას იზიარებდნენ და განმარტა, რომ პროგრამაში ქვეყანათმცოდნეობა ცალკე კურსად იმის გამო არ იყო გათვალისწინებული, რომ სამოცი კრედიტის ფარგლებში პრიორიტეტები მიენიჭა ძირითადი ენობრივი უნარებისა (წერა, კითხვა, ლაპარაკი, მოსმენა) და ლექსიკურ-გრამატიკული კომპეტენციების განმავითარებელ კურსებს.

დაწესებულების წარმომადგენელმა მეორე რეკომენდაციასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ სტუდენტთა ინტეგრაციის აქტივობები (სხვადასხვა ღონისძიება, ექსკურსია, დისკუსია და ა.შ.) გათვალისწინებული იყო აღნიშნულ პროგრამაში, მაგრამ ყველა მათგანი ექსტრაკურიკულურ აქტივობას წარმოადგენდა და ამიტომ არ იყო ასახული დოკუმენტურად. მან აღნიშნა, რომ რთული იყო ისეთი აქტივობების წინასწარ განსაზღვრა, როგორიცაა მუზეუმში წასვლა, ექსკურსია და ა.შ.

სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ წინასწარ დროის განსაზღვრა არ იყო მოთხოვნილი, თუმცა აუცილებელი იყო იმის აღნიშვნა, რომ ამგვარი აქტივობები იგეგმებოდა.

დარგობრივი ენის კომპონენტთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ კურსი დანერგვის პროცესში იმყოფებოდა და მუშავდებოდა. დარგობრივი ენის სილაბუსი გაწერილი იყო უნივერსიტეტში არსებული ფაკულტეტების მიხედვით და საპრეზენტაციო თემატიკა და ლექსიკის სწავლება გათვალისწინებული იყო სწორედ ამ პერსპექტივიდან.

ექსპერტმა, ელენე კიკალიშვილმა, განაცხადა, რომ დაგეგმვა და დარგობრივი მასალის დამუშავება არ წარმოადგენდა სირთულეს და არ იყო საკმარისი ლექსიკონიდან ამოკრებილი სიტყვების სწავლება.

დაწესებულების წარმომადგენელმა კითხვით მიმართა ექსპერტს, როგორ იყო შესაძლებელი იმის განსაზღვრა, თუ სად გააგრძელებდა სტუდენტი სწავლას. ელენე კიკალიშვილმა უპასუხა, რომ აღნიშნულ დაწესებულებას მხოლოდ ორი პროგრამა ჰქონდა, რაც ამარტივებდა ამ ამოცანას.

მომდევნო რეკომენდაციაზე დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ კურსი აგებული იყო კომუნიკაციურ მეთოდზე. გრამატიკის დოზა მეტად იყო გათვალისწინებული, თუმცა ამას გარდა, ასწავლიდნენ სიტუაციური ტექსტებითაც და არცერთი კურსი არ იყო თეორიული ხასიათის. გამოკითხვის ფორმებიც (მათ შორის, ტესტირებაც), მხოლოდ პრაქტიკულ ცოდნას ამოწმებდა. მან განაცხადა, რომ ლექსიკის შესწავლა სწორედ რეალური ცხოვრებიდან აღებული საკომუნიკაციო სიტუაციების მიხედვით ხდებოდა. გარდა ამისა, ყოფითი ლექსიკის გარდა, გათვალისწინებული იყო აკადემიური მიზნებისათვის საჭირო ლექსიკური ერთეულების სწავლებაც.

ელენე კიკალიშვილმა განმარტა, რომ რასაც ასწავლიდნენ, იმის შესამოწმებელი მექანიზმიკი ჰქონდათ შემუშავებული, მაგრამ შემაჯამებელი შეფასება, ანუ დასტური იმისა, რომ შედეგზე გადიოდა სტუდენტი, არ არსებობდა.

საბჭოს წევრმა, ნათელა სახოკიამ, დარგობრივ ენასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ორი სპეციალობის არსებობისას მარტივი იქნებოდა სასწავლო თემატიკის განსაზღვრა, მაგრამ მეტი სპეციალობის შემთხვევაში, გაუგებარი იქნებოდა, რა უნდა ესწავლებინათ სტუდენტებისთვის. მან განცხადა, რომ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტშიც არ იყო აღნიშნული პროგრამა სრულყოფილი, საპილოტე რეჟიმში ხორციელდებოდა და თუ რაიმე გამოცდილება არსებობდა ამ მხრივ, ის უნდა გაეზიარებინათ პროგრამის შემქმნელებს. საბჭოს წევრის თქმით, გრამატიკის დიდი დოზით მიწოდება საკომუნიკაციო ენის სასწავლებლად არ გამოდგებოდა. ასევე, აღნიშნა, რომ აუცილებელი იყო, აკადემიურ პერსონალს ჰქონოდა გამოცდილება, ესწავლებინა ენა უცხოელისათვის.

დაწესებულების წარმომადგენელნა, თინა ჯაჭვაძემ განაცხადა, რომ 80-იანი წლებიდან მოყოლებული, ასწავლიდა 35 პროფესიულ სასწავლებელში ასწავლიდა რუსულენოვან სტუდენტებს ქართულ ენას. მან აღნიშნა, რომ სახელმწიფოც უნდა ყოფილიყო დაინტერესებული ასეთი პროგრამის არსებობაში.

ექსპერტმა, ელენე კიკალიშვილმა განაცხადა, რომ როგორც პროფესიულმა სასწავლებლებმა, ასევე ქართული ენის სწავლების მეთოდებმაც განიცადა ცვლილება. მან აღნიშნა, რომ შედეგის შემოწმება მხოლოდ კომუნიკაციით იყო შესაძლებელი.

საბჭოს წევრმა, ნათელა სახოკიამ, კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, თუ რა დროს ატარებდნენ სტუდენტები ყოველდღიურად სასწავლებელში.

დაწესებულების წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ ეს ცალკეულ სილაბუსებში იყო გაწერილი, რაც დაახლოებით კვირაში 20 საათი, ანუ საშუალოდ 4-5 საათი გამოდიოდა ყოველდღიურად.

საბჭოს წევრი, თამარ ზარანდია დაინტერესდა სავარაუდო კონტინგენტით. დაწესებულების წარმომადგენლებმა უპასუხეს, რომ 50 სტუდენტის მიღებას გეგმავდნენ, თითოეულ ჯგუფში კი 15-15 სტუდენტი მოიაზრებოდა.

სხდომის თავმჯდომარე დაინტერესდა, თუ რა იყო ამ პროგრამის შექმნის საფუძველი.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ჩატარებულმა ბაზრის კვლევამ დაადასტურა, რომ აზერბაიჯანულენოვანი მოსახლეობით დასახლებულ რეგიონებში იყო ინტერესი აღნიშნული პროგრამის მიმართ.

19:36 საათზე საბჭოს სხდომაზე შესვენება გამოცხადდა. საბჭოს სხდომა განახლდა 20:05 საათზე.

სხდომის თავმჯდომარემ დამსწრე საზოგადოებას გააცნო საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები:

- სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ინფორმაციული ტექნოლოგიების საბაკალავრო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია (მომხრე-5; წინააღმდეგი - 0);
- სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ბიოლოგიის საბაკალავრო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია (მომხრე - 5; წინააღმდეგი -0);
- სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის გეოგრაფიის საბაკალავრო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია (მომხრე -5; წინააღმდეგი -0);
- სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მათემატიკის საბაკალავრო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია (მომხრე -5; წინააღმდეგი -0);
- სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სპორტის საბაკალავრო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია (მომხრე - 5; წინააღმდეგი -0);
- სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია (მომხრე -5; წინააღმდეგი -0);
- სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ბიზნესის ორგანიზაციისა და მართვის საბაკალავრო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია (მომხრე -5; წინააღმდეგი -0);
- სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის საბუღალტრო და საგადასახადო საქმის საბაკალავრო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია (მომხრე -5; წინააღმდეგი -0);
- სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ფინანსების საბაკალავრო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია (მომხრე - 5; წინააღმდეგი -0);
- სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ტურიზმის საბაკალავრო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია (მომხრე -5; წინააღმდეგი -0);
- სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ტურიზმის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია (მომხრე - 5; წინააღმდეგი -0);

- სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ბიზნესის ორგანიზაციისა და მართვის სამაგისტრო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია (მომხრე -5; წინააღმდეგი -0);
- სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის საბუღალტრო და საგადასახადო საქმის სამაგისტრო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია (მომხრე -5; წინააღმდეგი -0);
- სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ფინანსების სამაგისტრო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია (მომხრე - 5; წინააღმდეგი -0);
- შპს წმიდა გრიგოლ ფერაძის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამას უარი ეთქვა აკრედიტაციაზე (მომხრე - 0; წინააღმდეგი - 5);
- შპს წმიდა გრიგოლ ფერაძის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია (მომხრე-3, წინააღმდეგი - 2);

სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ქართულ ენაში მომზადების პროგრამის შესახებ გადაწყვეტილების მიღება ძალიან რთული იყო, რადგან ხმები გაიყო და ერთი ხმის სხვაობით მიენიჭა პროგრამას აკრედიტაცია. მან აღნიშნა, რომ რეკომენდაციები მძიმე და აუცილებლად გასათვალისწინებელი იყო, მაგრამ საბჭოს წევრებმა გაითვალისწინეს აზერბაიჯანულენოვანი კონტინგენტისთვის ქართული ენის სწავლების მნიშვნელობა და ხედავდნენ აღნიშნული შენიშვნების გამოსწორების საშუალებას. სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, რომ ამ რეკომენდაციების გათვალისწინება სავალდებულო იყო და იმედი გამოთქვა, რომ დაწესებულების წარმომადგენლები შეასრულებდნენ ყველა მათგანს.

დაწესებულების წარმომადგენლებმა მადლობა გადაუხადეს საბჭოს წევრებს.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ, სხდომა დასრულდა 20:08 საათზე.

თავმჯდომარე

მდივანი